# ხობის მოამბე

„თვითშეფასებისა და ერთგულია სამართლის ყოველდღიური საქმიანობისა. სანამ ერთად ვიყავით, ეგი ყველაფერს ხედავდა... ყოველი სახელმწიფოდ, თვალს ფრსოდ ცოდვათ თუ ზეციერად ვალაქვეყანა, ნაფრენ-ნაფრენად ანის ვალაყოფილია, თორე ეგეთია ვალ ანგრევლია ადგილი იყოს.”

№12 (7172)
5 ოქტომბერი,
ხუთშაბათი, 2023 წელი.
ფასი 0.70 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო


# ტკივილისა და იმედის დღე!

ქალაქის აღების შემდეგ შემოსულმა სეპარატისტთა მებრძოლებმა დარჩენილი მოსახლეობის არნახული ხოცვა მოაწყვეს. **ადგილობრივი მთავრობის წევრები, ჟიული შარტავა, გურამ გაბისკირია და რაულ ეშბა, რომლებმაც გაქცევაზე უარი თქვეს, მთავრობის სახლის წინ დახვრიტეს, ხოლო ალექსანდრე ბერულავა უგზოუკვლოდ დაიკარგა.** რამდენიმე დღეში

**ჟიული შარტავა:**

**„ბოლომდე ვიბრძოლებთ, ვიდრე შეგვიძლია და თუ სიკვდილი გვიწერია, არც ეს უნდა იყოს დიდი ტრაგედია. ისეთი ბიჭები იხოცებიან, ძნელია, ამის შემყურემ სიცოცხლეზე იფიქრო. რას იზამ, ბედისწერას ვერ გაექცევი“.**

### 27 სექტემბერი–სოხუმის დაცემის დღეა!

კონფლიქტი, რომელიც 13 თვესა და 13 დღეს გრძელდებოდა მიმდინარეობდა ქართულ სამთავრობო ჯარებსა და აფხაზ სეპარატისტთა ძალებს შორის, რომელთაც ასევე უჭერდნენ მხარს ჩრდილოეთ კავკასიიდან დაქირავებული მებრძოლები, კაზაკთა მილიციის შენაერთები და არაოფიციალურად, გუდაუთაში განლაგებული რუსეთის სამხედრო ბაზის შენაერთი.

სოხუმისთვის გადამწყვეტ ბრძოლას წინ უძღოდა შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტისა და სამხედრო ტექნიკის კონფლიქტის ზონიდან გაყვანის შესახებ, რომელიც სოჭში დაიდო 27 ივლისს ორ მხარეს შორის. შეთანხმება 16 სექტემბრამდე გაგრძელდა. ამ დღეს სეპარატისტებმა შეთანხმება დაარღვიეს და ფართომასშტაბიანი იერიში მიიტანეს სოხუმზე ზღვიდან, ჰაერიდან და ხმელეთის მისადგომებიდან. შეთანხმების მიხედვით, საქართველოს ამ დროისთვის მძიმე შეიარაღების დიდი ნაწილი კონფლიქტის ზონიდან უკვე გაყვანილი ჰ ყავდა. გააფთრებული ბრძოლები გრძელდებოდა 27 სექტემბრამდე, თუმცა მასიურ შეტევას სუსტი შეიარაღებით ქართულმა ნაწილებმა ვერ გაუძლეს და ქალაქი საბოლოოდ დაეცა.

სეპარატისტთა ძალებმა აფხაზეთის თითქმის მთელი ტერიტორია დაიკავეს (კოდორის ხეობის გარდა).

საქართველოს შეიარაღებული ძალების სრულ დამარცხებას რეგიონში ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდა მოჰყვა. გადარჩენილი 250 000-ზე მეტი ეთნიკურად ქართველი, ბერძენი თუ სხვა უმცირესობები აფხაზეთიდან ლტოლვილ-დევნილი გახდა.

# ვულოცავთ!

საგვიჩიოს, ხობის მუნიციპალიტეტის პატარა და ლამაზ სოფელს, მრავალი საპატიო და ღირსეული ადამიანი ამშვენიერებს. წლებია ამ ადამიანთა შორის არის ქალბატონი, რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტია თითოეული მაცხოვრებლის საფიცრად ქცეულა, იგი თითოეული ოჯახის მეგობარი და აღმზრდელი გახლავთ.

ამჯერად სოფელს (და არამარტო) დიდი სიხარული ეწვია, უბედნიერესი სასწავლო წელი დადგა,–**სოფელ საგვიჩიოს საჯარო სკოლის დირექტორს, ქალბატონ სულიკო ტაბატაძეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა მომავალი თაობის სწავლა-განათლების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება მიანიჭა...**

განუზომელი იყო სოფლის სიხარული და აღფრთოვანება ამ ინფორმაციის გამო... ამას ისიც დაემატა, რომ სოფელს 15 სექტემბერს ახალი სასწავლო წლის დაწყების და დირექტორისთვის ჯილდოს მისალოცად მუნიციპალიტეტის მერი ბატონი **დავით ბუკია** ეწვია.

–მიხარია, რომ მომეცა შესაძლებლობა პირადად მომელოცა ეს წარმატება და ახალი სასწავლო წლის დაწყება ქალბატონი სულიკოსთვის, რომელიც ხუთ ათეულ წელზე მეტია ჩვეული რუდუნებითა და სიყვარულით ემსახურება მომავალი თაობების განათლების საქმეს. სწორედ ამ მრავალწლიანი ნაყოფიერი და წარმატებული პედაგოგიური საქმიანობის შედეგია საზოგადოების განსაკუთრებული სიყვარული და პატივისცემა ქალბატონი სულიკოს მიმართ.

მადლობას ვუხდი ქალბატონ სულიკოს და კიდევ არა ერთი ღირსეული თაობის აღზრდას ვუსურვებ. ასე მიმართა ბატონმა დავით ბუკიამ საზოგადოებას...

...სიტყვა „დამსახურებული“ ისე არც ერთი პროფესიის მსახურს არ უხდება, როგორც მასწავლებელს, რადგან ქვეყნად არ არსებობს ადამიანი, ვისაც მასწავლებელი არ ჰყოლია...

„ხობის მოამბეს“ თანამშრომლები უდიდესი მოკრძალებითა და სიყვარულით ვუერთდებით მოლოცვებს. ქალბატონ სულიკოს ვულოცავთ ამ დიდ წოდებას და ხანგრძლივ ცხოვრებას ვუსურვებთ უძლიერეს პედაგოგს, დედას და ბებიას.

მრავალჟამიერ მისი სიცოცხლე!

*მერი ლაგვილავა*



**სერბეთის დედაქალაქ ბელგრადში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ნუგზარ წურწუმიამ ვერცხლის მედალი მოიპოვა.**

# პენსიები და ხელფასები იზრდება

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა, მთავრობის სხდომაზე დაასახელა ის სფეროები, სადაც დასაქმებულებს მომავალი წლიდან ხელფასები გაეზრდებათ. როგორც პრემიერმა აღნიშნა, –„ბიუჯეტი ეზრდება შინაგან საქმეთა სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროს, განათლების სამინისტროში მნიშვნელოვანი რეფორმები გვექნება და მნიშვნელოვანი სიახლეები.

**470 მილიონი ლარით იზრდება განათლების ბიუჯეტი.**

გარდა ამისა, მინდა ვთქვა, რომ საჯარო სკოლების მასწავლებელთა ანაზღაურების ზრდის საკითხს ჩვენ ვამუშავებთ და ახალ მინისტრთან ერთად ოქტომბრის ბოლოს წარმოგიდგენთ ახალ კონცეფციას.

**საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაცია**

გამოყოფილია 350 მილიონი ლარი, მაღალი ტემპებით წავა მშენებლობა-რეაბილიტაციის პროცესი.

**საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე**

225 მილიონი ლარი მიემართება. ბაღებში თანამშრომელთა ხელფასების ზრდა იქნება გათვალისწინებული“,–განაცხადა პრემიერმა. **მთავრობის მეთაურის გადაწყვეტილებით, მომავალი წლიდან გაიზრდება პენსიაც.**

2024 წლიდან ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის პროგრამების ბიუჯეტი 870 მლნ ლარით იზრდება. 70 წლისა და მეტი ასაკის პირთა პენსია გაიზრდება 50 ლარით და გახდება 415 ლარი.

ამავე კატეგორიის პენსიონერთა პენსია მაღალმთიან დასახლებებში იქნება თითქმის 500 ლარი. შედარებისთვის გეტყვით, რომ 2012 წელს პენსია იყო 110 ლარი და 125 ლარი. ახლა არის 415 ლარი და მაღალმთიან დასახლებებში – 500 ლარამდე.

ეს არის ჩვენი ხელისუფლების მუშაობის რეალური შედეგი.

**70 წლამდე პირთა პენსია იზრდება 20 ლარით და განისაზღვრება 315 ლარით. მაღალმთიანში იქნება 380 ლარი“,–განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.**

მთავრობის გადაწყვეტილებით, სტატუსშეჩერებულ 30 ათასამდე სტუდენტს დავალიანება გაუნულდება

შესაბამისი ინიციატივის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

მისი თქმით, სტატუსი 30 ათასამდე სტუდენტს აქვს შეჩერებული, რომელთა დავალიანება ჯამში 40 მლნ ლარს შეადგენს.

„სტატუსშეჩერებული სტუდენტების საკითხი მოვიკითხე და განათლების მინისტრისგან მოვისმინე დეტალური ინფორმაცია. დაახლოებით 30 ათასამდე სტუდენტს ფინანსური დავალიანების გამო შეჩერებული აქვს სტატუსი. ამიტომ ჩემი გადაწყვეტილებით, ყველა იმ სტუდენტს, ვისაც სტატუსი აქვს შეჩერებული, გაუნულდებათ დავალიანება და მათ შეეძლებათ, აღადგინონ სტატუსი და გააგრძელონ სწავლა. 40 მლნ ლარის დავალიანებაა. მინდა მივმართო განათლებისა და ფინანსთა მინისტრებს, რომ შედგეს კომუნიკაცია და სასწრაფოდ მოგვარდეს აღნიშნული საკითხი. მნიშვნელოვანია, სტუდენტებს მიეცეთ, საშუალება კვლავ შეძლონ გააგრძელონ სწავლა“,–განაცხადა პრემიერმა.

# ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საკრებულოს რიგგარეშე სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოსა და მერიის ხელმძღვანელი პირები.

სხდომაზე განხილულიქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები:

დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის 24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

პრიორიტეტებისა და გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

2023 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით ადგილობრივი ბიუჯეტის ასიგნებებიდან მოხდა 200,0 ათასი ლარის ასახვა, რომელიც მიიმართება შემდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად:

პრიორიტეტის ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია“, გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა“, „მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული აქტივების რეაბილიტაცია“ და ნაგავმზიდი მანქანის შეძენის ასიგნებაზე“. საბოლოოდ ადგილობრივი ბიუჯეტი განისაზღვრა 23743,0 ლარით.

სხდომაზე მომდევნო საკითხად განხილულ იქნა დადგენილების პროექტები:

„ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის 47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის 4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლის თანახმადაც სახელწოდება ეცვლება საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საფინანსო ზედამხედველობისა და ბუღალტერიის განყოფილებას შემდეგი ფორმულირებით: „სახაზინო მომსახურებისა და ბუღალტერიის განყოფილება“.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

# სოციალურად დაუცველ ოჯახებს სამშენებლო მასალები გადაეცემა

ხობის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის სახლის გადასახური მასალის და ავარიული სახლის გასამაგრებლად ცემენტის და ბლოკის გადაცემა მიმდინარეობს.

„მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის“ მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში, 96 146 ლარის ღირებულების სამშენებლო მასალები 49 ოჯახს გადაეცემა.

სოციალური პროგრამა ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება.

# ნომრის სტუმარია პირველი მაისის საჯარო სკოლის დირექტორი ქალბატონი ცისანა რატია

***გაეცანით მკითხველს, ვინ არის ცისანა რატია?***

–დავიბადე 1948 წლის 18 მარტს სოფელ ხეთაში, მოსამსახურის ოჯახში. დედა, ლუდმილა ჯოჯუა, წლების განმავლობაში შუა ქვალონის საშუალო სკოლაში გერმანულ ენას ასწავლიდა, მამა–ვარლამ რატია–რიგითი მოსამსახურე იყო.

დავამთავრე ზუგდიდის მეხუთე საშუალო სკოლა. უმაღლესი განათლება კი სოხუმში, გორკის სახელობის უნივერსიტეტში მივიღე. ვარ ისტორიკოსი.

უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ მუშაობა დავიწყე ხობის პირველ საშუალო სკოლაში, სადაც დირექტორი იყო შესანიშნავი ადამიანი–ალექსანდრა ბერაია-თათარიშვილი...

1975 წელს შევქმენი ოჯახი. ჩემი მეუღლეა გულივერ ბუკია, რომელიც ჩაის ტექნოლოგად მუშაობდა ხობის ჩაის კომბინატში, 30 წლის განმავლობაში, შემდეგ კი პირველი მაისის საშუალო სკოლაში ხაზვის მასწავლებლად, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორად იმუშავა წლები. თითქმის 50 წელი ემსახურა მშობლიურ რაიონს, მუნიციპალიტეტს. ამჟამად პენსიონერია.

ოჯახის შექმნის შემდეგ სამუშაოდ საცხოვრებელ ადგილთან ახლოს, სოფელ პირველი მაისის საშუალო სკოლაში გადმოვედი, სადაც დღემდე ვმუშაობ. უკვე სკოლებში მუშაობის 50-წლიანი გამოცდილება დამიგროვდა და ზოგჯერ არც მჯერა, რომ ამდენი დროა გასული.

1996 წლიდან ვარ დირექტორის მოადგილე სასწავლო აღმზრდელობით დარგში. 2020 წლიდან ვასრულებ დირექტორის მოვალეობას.

მყავს ორი შვილი. ქალიშვილი –შორენა ბუკია, პირველი მაისის საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელია, წამყვანი მასწავლებლის სტატუსით. მიხარია, რომ ჩემი პროფესია გახდა მისი არჩევანი. ვაჟი, შერმადინ ბუკია, ორთოპედ-სტომატოლოგია. მყავს ხუთი შვილიშვილი, რაც ცხოვრების სტიმულს მაძლევს და მაბედნიერებს.

***თქვენი სკოლა ესტატე შუშანიას სახელს ატარებს. გვიამბეთ ცოტა რამ მასზე?***

–ჩემი თაობის ხალხმა კარგად იცის მის შესახებ. ახალი თაობისთვის კი მინდა მცირე ადგილი დავუთმო მის ბიოგრაფიულ შტრიხებს.

ესტატე ბესარიონის ძე შუშანია დაიბადა 1871 წელს ხეთაში, იმ უბანში, სადაც ახლა სოფელი პირველი მაისი მდებარეობს. სენაკის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მან სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომელიც 1891 წელს დაამთავრა.

ესტატე შუშანიას დიდი ძალისხმევით 1891 წელს გურია–სამეგრელოს ეპარქიის სასწავლო ოლქის საბჭომ, ერთკლასიანი (სამწლიანი) სამრევლო სკოლა გახსნა საკვიკვინიოს უბანში, წმინდა სოფიოს სახელობის ეკლესიასთან. ესტატეს მამისეული მამულიდან ჩამოუჭრია მიწის ნაკვეთი და საკუთარი ხარჯებით აუშენებია სკოლა, შეუძენია წიგნები, რვეულები, ინვენტარი, მოუწვევია პედაგოგები, რომლებსაც ხელფასს უხდიდა.

„ესტატეს სკოლაში“ სწავლება მაღალ დონეზე მიმდინარეობდა. გაზეთ „კვალის“ რედაქტორის, ანასტასია თუმანიშვილის სიტყვებით: „ეს სკოლა ყოველმხრივ სასურველ წარმატებაში შევიდა. აქ სამინდა, რომ მიმდებარე ტერიტორიაზე ეს სკოლა იყო სასურველი განათლების კერა.

სკოლა გამორჩეული იყო მასწავლებლებითა და დირექტორებით. მინდა მოვიგონო გარდაცვლილი დირექტორები, ვისთანაც მიმუშავია:

ვასო ბუკია, იონა ლიპარტია, კარლო ბუკია...

ასევე, როგორც სასწავლო ნაწილს, თანამშრომლობამ მომიწია გიგლა კვიკვინიასთან, ბელა ჯოხაძესთან, ნინო ცხადაიასა და კობა კვიკვინიასთან. ღმერთმა ჯანმრთელობა მისცეს მათ. შვიდ დირექტორთან მომიწია ურთიერთობა. თითოეულ მათგანთან მუშაობა იყო საინტერესო და მრავალმხრივი.

ძალიან ბევრია ისეთი მასწავლებელი, რომელიც წასულია ამ ქვეყნიდან. ეს ის ადამიანები არიან, რომელთაც თაობები აღზარდეს და ვალმოხდილებმა დატოვეს ამქვეყნიური ცხოვრება: არეთა ჩოკორაია, მანანა ხვიჩია, დომნიკა ესებუა, ლუკიანე გერგაია, კოტე ფილიპია, ნორა მხეიძე, კარლო ბუკია, ძაბული სამინავა, დურუ კობახიძე, ლუბა ბეჭვაია, ვალერიან კვიკვინია, კაპიტონ კვიკვინია, ორესტი გაბრავა, ვალერიან ფირცხელავა, ლიანა ნაჭყებია, კაკო ზარანდია, აკაკი ესებუა, თამარ შენგელია, გოგონა კვიკვინია, თინა შუშანია, მარიამ შუშანია.

ეს პედაგოგთა ის ჩამონთვალია, რომელიც მე მახსოვს... გაანათლოს მათი სულები ღმერთმა... იქნებ რომელიმე გამომრჩა და ამისთვის ბოდიშს ვიხდი...

ასევე არის კატეგორია პედაგოგებისა, რომლებმაც პირნათლად მოიხადეს ვალი ჩვენი სკოლის, სოფლის წინაშე და ამჟამად პენსიონერები არიან: მერი თაკვარელია, გულნარა კრავჩენკო, ლუიზა ფირცხელავა, თამარ ხუხია-კობახიძე, გულივერ ბუკია, სვეტლანა პაჭკორია, მაყვალა პაჭკორია, გრიანა ჭკადუა, რეზო თოდუა, რაისა (პარტყუ) კვიკვინია.

ყველა მინდა მოვიკითხო დიდი სიყვარულით, ვუსურვო ჯანმრთელობა და დიდი ხნის სიცოცხლე.

***რა სიახლეებით შეხვდა სკოლა ახალ სასწავლო წელს?***

–სკოლაში ამჟამად 199 მოსწავლე ირიცხება. ასე ცოტა, პირველკლასელი დიდი ხანია არ მიგვიღია (12 ბავშვი) და ეს ალბათ, ქვეყანაში მიმდინარე, მოსახლეობის გადინების მძიმე პროცესის გამოძახილია.

ჩვენი სკოლა წელს 8 მოსწავლემ დაამთავრა. მათ შორის 5 აბარებდა უმაღლეს სასწავლებლებში და ხუთივე ჩაირიცხა. გვყავდა 2 ოქროსმედალოსანი (მაკა კობახიძე და თეიმურაზ კვიკვინია). ორივემ 50-პროცენტიანი გრანტი მიიღო. საბაზო საფეხური წარჩინებით ორმა მოსწავლემ დაასრულა (ირინა ბუკიამ და საბა საბახტარაშვილმა), რომლებიც სახელმწიფოსგან ლეპტოპებით დაჯილდოვდებიან.

სკოლამ კომპიუტერული ლაბორატორიისთვის მიიღო 8 კომპიუტერი. რაც შეეხება სარემონტო სამუშაოებს, სოფლისა და სასკოლო საზოგადოების მხრიდან მოთხოვნილია ახალი სკოლის მშენებლობა და საკითხი განხილვის პროცესშია. სკოლაში ამჟამად 24 მასწავლებელია დასაქმებული, რომელთა შორის 1 მენტორის, 9 წამყვანის და 13 უფროსის სტატუსის მატარებელია.

***როგორია გზა წარმატებისკენ?***

–გზა წარმატებისკენ წარსულის კარგად ცოდნაში, აწმყოს რეალურად შეფასებასა და ანალიზში, მომავლის სწორად დაგეგმვაშია. ამ სკოლას აქვს დიდი წარსული, მეტნაკლებად კარგი აწმყო, მომავალი კი ალბათ მაინც ბუნდოვანია. კეთილსინდისიერება იყო და არის ამ სკოლის მენეჯმენტის მთავარი ხაზი, რომელიც კვლავ გაგრძელდება. გვყავს უნიჭიერესი ახალი თაობა და როგორ შეიძლება, მომავალი წარმატებების არ გეიმედებოდეს.

***–რა არის თქვენთვის ყველაზე დიდი მიღწევა?***

–ყველაზე დიდ მიღწევად მივიჩნევ იმას, რომ მყავს კარგი ოჯახი, სკოლაში რომ ამდენი წელი ვუძღვები ჩემს საქმეს, ვასრულებ ჩემს მოვალეობებს სათანადოდ, ვის საქმეს. ასევე ამ სკოლის კურსდამთავრებულები არიან პედაგოგები: მერაბი ქანდარია, შორენა ბუკია და ლალი ბუკია. ბოლო წლებში ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულები რატომღაც არ წყალობენ პედაგოგის პროფესიას და ეს დამაფიქრებელია. მესმის, რომ მოწოდებით პედაგოგის ხვედრი ადვილი არაა, მაგრამ უარის თქმა ამ პროფესიაზე, ცუდი ტენდენციაა.

***რა შეიცვალა სისტემაში დადებითისკენ?***

–ადრე სკოლაში ისწავლებოდა ხატვა და მუსიკა... განსაკუთრებით ამ მიმართულებებს გამოვყოფდი. ძველი თაობა დღემდე ამ საგნებს მეორეხარისხოვნად მიიჩნევს. უბრალოდ იმ ხალხს ვურჩევდი, პირველიდან მეცხრე კლასის ჩათვლით, დაათვალიერონ ხელოვნებისა და მუსიკის თანამედროვე სასკოლო სახელმძღვანელოები. ადრეულ წლებში ამ საგნებში სასკოლო სახელმძღვანელოებიც კი არ არსებობდა. ტექნოლოგიები... კომპიუტერების გავლენა რომ არ აღინიშნოს, არ შეიძლება. ბევრი ამბობს, რომ მას უარყოფითი გავლენა აქვს. ვეთანხმები ამ აზრსაც, მაგრამ ამავე დროს არ შეიძლება არ ითქვას, თუ რამდენად ინფორმირებულები არიან მოსწავლეები. ძლიერ მოსწავლეს დღეს ინტერნეტის არსებობის გამო რეპეტიტორები სულაც არ უნდა ჭირდებოდეს. რა საკითხზე გინდა მასალები არ მოიძიო... და ამას აკეთებს კიდეც ზოგიერთი მოსწავლე. თუ მასწავლებელი სწორად გამოიყენებს ამ რესურსს, მოსწავლისთვის კომპიუტერის გამოყენება, ინფორმაციის მოძიება–განვითარების ერთერთი საუკეთესო საშუალებაა.

***ამჟამად მოქმედი მასწავლებლები...***

–სკოლაში ამჟამად მუშაობს 7 კათედრა:

სახელმწიფო ენის–პედაგოგები: ნინელი ხუხია და ნინო ცხადაია;

მათემატიკის–პედაგოგები: ნინო კვიკვინია, კობა კვიკვინია, ნატო ქირია, ნანი კვიკვინია;

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების–პედაგოგები: ლალი ბუკია, ლელა ჩემია, ნუნუ ლატარია-წოწერია, ლალი ჩიქობავა;

საზოგადოებრივი მეცნიერებების–პედაგოგები: შორენა ბუკია, ცისანა რატია, ლალი ჩიქობავა, ნონა ხუფენია;

უცხო ენების–პედაგოგები: ლალი ფეტელავა, სალომე ჯოლოხავა, ფატიმა არახამია, ნონა ხუფენია, სოფიო ციმინტია, ქეთევან ყოლბაია;

სპორტისა და ესთეტიკის–პედაგოგები: გრიშა ხიმშიაშვილი, მერაბი ქანდარია, თეა ტყებუჩავა, ნათია ლატარია;

დაწყებით განათლების–პედაგოგები: ნანა კორტავა, დალი თევზაძე, ლალი ფეტელავა.

ეს ის პედაგოგთა გუნდია, რომელიც აგრძელებს მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი უძველესი სკოლის ღირსეულ ტრადიციებს და უზრდის ქვეყანას ახალ თაობებს.

–ვსარგებლობ შემთხვევით და ჩემი პედაგოგიური კოლექტივის სახელით მთელი ჩვენი მუნიციპალიტეტის, ქვეყნის მასწავლებლებს ვულოცავ პროფესიულ დღესასწაულს, მასწავლებლის დღეს!

**ესაუბრა**
**ნანი კილასონია.**

# ტრადიცია ნარმატებით გრძელდება!

## სახელოვანი წინაპრები

# ფინანსისტი, მრეწველი, საზოგადო მოღვაწე და ქველმოქმედი!

### აკაკი ხოშტარია–150

გაზეთ „ხობის მოამბეს“ ერთგულმა მკითხველმა, ჩვენი წინანდელი წერილებიდან იცის, რომ XIX საუკუნის საქართველო–„მიმხვდარი იყო მოხევის გულისტკივილს, მისი გულისტკივილის სამკურნალოდ იყო მომართული, მაგრამ 1807 წელი, თავისი წიწამურით, უდიდესი დაბრკოლების კლდედ აღიმართა...

...საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის პირველ ეტაპად, პირობითად ჩავთვალეთ პერიოდი–1801 წლიდან, როდესაც რუსეთმა გააუქმა ქართლ-კახეთის სამეფო, მას მიაყოლა იმერეთი, გურია, აფხაზეთი, სამეგრელო, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის დამოუკიდებლობა, აკრძალა ქართულად წირვა-ლოცვა. ქართველ ხალხს წამითაც არ შეუწყვეტია ბრძოლა (იხილეთ „ხობის მოამბე“ №7 26 მაისი, 2023 წ.). ეს პერიოდი დამთავრდა 1907 წლის 12 სექტემბერს, წიწამურთან, როდესაც საქართველოს მტრებმა, თბილისიდან და საგურამოში, მისი მეუღლის ოლღა გურამიშვილისეულ მამულში მიმავალ ილია ჭავჭავაძეს, საქართველოს უგვირგვინო მეფეს, ერის წინამძღოლსა და მოჭირნახულეს, რომელიც ქართულ სულს, ქართულ ეროვნულ იდეალს გამოხატავდა, „ბერდანკის“ ტყვიით მოუსწრაფეს სიცოცხლე. იმ არაკაცებმა–„საქართველოს ესროლეს“!!!

1908 წელს გამოვიდა ასპარეზზე 16 წლის გენიოსი გალაკტიონ ტაბიძე, ეს წელი აღმოჩნდა, ახალი ქართული ლიტერატურის დამთავრებისა (ილიას მკვლელობა 1907 წელი) და უახლესი ქართული ლიტერატურის დასაწყისის მიჯნა, გალაკტიონი აცხადებდა თავს, ახალი ეპოქის დამწყებად, მისი სულის ჩამდგმელად, როგორც შემდეგ დადასტურდა გალაკტიონს ჰქონდა უფლება თავი ჩაეთვალა ქართველი პოეზიის უპირველეს მეტრად. მაგრამ ილიაობას იმ დროს ვერავინ შეძლებდა, კი–პოეზიაში პირველი, მაგრამ გალაკტიონი მისი გენიოსობის მიუხედავად, ილიას ტვირთს ვერ იტვირთებდა, ილიას მაგივრობას ვერ შეძლებდა... ის პერიოდიც უკვე გასული იყო, როდესაც პოეტმა თქვა:–„რა დროს ლექსიაო, მოუკვდა პატრონი, ხმლით შემოვარდნილა ერეკლე ბატონი“!. კრწანისში ნაღალატევი, 79 წლის „პატარა კახი“ საქართველოს ბოლო, უდიდესი მეფე, სხეულზე ასამდე ნაიარევით, ქართულ მიწაში განისვენებდა...

საქართველოს სჭირდებოდა მთელი ერის ძალისხმევა, სჭირდებოდა განათლებული ხალხი, „საქმის კაცები“, ჭირდებოდა ფინანსისტები, მრეწველები, ინჟინრები, საზოგადო მოღვაწენი, ქველმოქმედი ადამიანები, რომლებიც მხოლოდ გასცემდნენ საქართველოსთვის და არა რას მოითხოვდნენ, სანაცვლოდ!

„მთელ ქართულ ფაბრიკებსა და ქარხნებს განაგებდნენ არაქართველები: ბოზარჩიანცი, საფაროვი, აზნაუროვი, ქიმშეროვი, საგოიანცი, მირზოევი, ადედხანოვი, პონომაიროვი, ჟაკლუისი, ფარინო, ჩითახოვი, ტოლაკოტრინი, მაიერი, ვაუჩენბახი!

მათ შორის მხოლოდ რამდენიმე ქართული გვარ-სახელიც გამოერეოდა, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ ვერანაირ კონკურენციას ვერ უწევდნენ არაქართველებს.

თუმცა აღმოჩნდა, რომ ღმერთს არ გავუწირივართ, კეთილი თვალით გადმოუხედავს... და თურმე საქართველოს ასეთი ადამიანებიც გამოუზრდია, ამ ადამიანებმა უპირველესად შექმნეს.–„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელთა საზოგადოება“, „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფო საზოგადოება“, დაიწყო სამზადისი პირველი ქართული უნივერსიტეტის დასაარსებლად...

XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისის ქართველ მრეწველთა, ფინანსისტთა, საზოგადო მოღვაწეთა და ქველმოქმედთა პირველი გუნდიც გამოიკვეთა:–იაკობ და სტეფანე ზუბალაშვილები (ძმები), დავით სარაჯიშვილი, მიტროფანე ლაღიძე, აკაკი ხოშტარია...

ამჟამად მკითხველს გვინდა გავაცნოთ XX საუკუნის ქართველი ბიზნესმენი, რომელსაც „ირანის უგვირგვინო შაჰს“ უწოდებდნენ, რომელმაც საქართველოსთვის გააკეთა იმდენი, ბარე ორს, რომ არ გაუკეთებია. ეს პიროვნება გახლავთ, აკაკი მეთოდეს ძე ხოშტარია, რომელიც ძირითადად სამხრეთ კავკასიაში, თურქეთსა და ირანში საქმიანობდა, რა თქმა უნდა, უპირველესი ასპარეზი და საზრუნავი საქართველო იყო.

„აკაკი ხოშტარია დაიბადა 1873 წელს, აბაშის რაიონის სოფელ სუჯუნაში, ტახტის აზნაურის, მეთოდე ხოშტარიას ოჯახში. მამა–„დიდ მეთოდედ“ წოდებული, იყო სამეგრელოს საეკლესიო მიწების გამგებელი, ხოშტარიებს ევალებოდათ XI საუკუნეში მოჭედილი წმინდა გიორგის ხატის დაცვა, (შემდგომში სუჯუნის წმინდა გიორგის ხატად წოდებული).

მეთოდე ხოშტარიას ბიძას, ივა ბერს იმდენად გამოუდვია თავი, რომ აღნიშნული ხატი არ დაუნებებია, თვით დადიანებისთვისაც კი, რომელთაც ხატის სუჯუნიდან, ზუგდიდში გადატანა სდომებიათ“ (ნეტავი, ხობის საერო და საეკლესიო იერარქებს გამოეჩინათ, ივა ბერის ოდენი გამბედაობა, ხობის მონასტერში დაცულ სიწმინდეთა ბედის მიმართ!).

მასალები აკაკი ხოშტარიას თაობაზე მოვიძიეთ–„ვიკიპედიაში“, ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, საქართველოს მუზეუმების არქივებში, ცნობილი ადამიანების მოგონებებიდან, ყველა მადლობის ღირსია, ვინც აკაკი ხოშტარიას მოღვაწეობის, ერთი ფურცელიც კი „გააცოცხლა“...

რაც შეეხება აკაკი ხოშტარიას, მისი ნაღვაწის, გაკეთებული საქმეების, უანგარო ქველმოქმედების, მხოლოდ ჩამოთვლას არ ეყოფა ერთი საგაზეთო სტატია, თუმცა მაინც ვეცდებით, რადგან წელს მისი დაბადებიდან 150 წელი შესრულებულა.

...აკაკი ხოშტარიამ, ფოთის ქალაქის თავის ნიკო ნიკოლაძის თხოვნით, აბაშიდან ფოთამდე გაიყვანა რკინიგზა–საკუთარი ხარჯებით!!! ერთ კაცს ალბათ, მარტო ეს ეყოფოდა უკვდავებისთვის!

„ა. ხოშტარიამ დაარსა ტრანსკავკასიური ბანკი და სატრანსპორტო კომპანია, ბანკის საწყისი კაპიტალი შეადგენდა 3 მილიონ რუბლს!

პირველი მსოფლიო ომის წინ, მან ბაქოში ჩამოაყალიბა მსხვილი სამრეწველო კომპანია და სავაჭრო ოპერაციებს წარმართავდა კავკასიასა და ირანში, მის მფლობელობაში იყო ორი დიდი კომერციული ორგანიზაცია, სანავთობე ამხანაგობა–„რუპენტი“ და თურქულ-სპარსული „ხოშტარიას ბანკი“, ასევე მექანიკური ქარხანა, საპნის ქარხანა, სამიწათმოქმედო იარაღების ქარხანა თბილისში. ირანში დაარსა კომპანია „პერსელესი“, რომლის კაპიტალი შეადგენდა რამდენიმე მილიონ ოქროს რუბლს, გაიყვანა სარკინიგზო ხაზი–„ტალრუდი“ ხის მორების გადასაზიდად, ასევე ირანში ჰქონდა მონოპოლია ხეტყის, საპნის, ბრინჯის წარმოებაზე, თევზის სარეწები, ვაჭრობდა მატყლით ინგლისელებთან, რაც მთავარია, იყო ჩრდილოეთ ირანის ნავთობის კონცესიების და მთელი ამ ტერიტორიის მიწების კერძო მფლობელი, მის ხელში იყო კასპიისპირა ქალაქ ენზელის ელექტროფიკაცია...

1914 წელს აკაკი ხოშტარიამ დაარსა სატრანსპორტო კომპანია თეირანსა და ფეჰლევს შორის, მან შეიყვანა ირანში პირველი ავტომობილი–„ფორდი“, რომელსაც სამკაულად ოქროს ფრთები ჰქონდა და ის აკაკიმ საჩუქრად მიართვა აჰ მედ შაჰს!

მისივე უშუალო ხელმძღვანელობით და სახსრებით გაშენდა ახალი ათონის პარკი, იალტის მთავარი ბარი, ბათუმის ზღვისპირა ბულვარი, მახინჯაურის ბოტანიკური ბაღი“... (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ 2020წ.)

ქართული სამხედრო-საზღვაო ფლოტის შესაქმნელად, საზღვარგარეთ საკუთარი ხარჯებით შეიძინა 4 სამხედრო გემი–„პრეზიდენტი ჟორდანია“, „თამარ მეფე“ „რუსთაველი“ და „საქართველო“ (გემები შეძენილიქნა იტალიასა და ინგლისში).

აკაკი ხოშტარიამ 20-იან წლებში კომუნისტების თხოვნით დაარსა კომპანია „საბჭოთა კავშირი და ხოშტარია“, ის საკუთარი სახსრებით პურს ირანში ყიდულობდა და ბაქოში აგზავნიდა, აქედან კი „ხოშტარიას პური“ სხვა ქვეყნებში ნაწილდებოდა.

აკაკი ხოშტარია შეხვდა ლენინსა და სტალინს, თურქეთთან სავაჭრო ხაზის აღდგენისა და ბათუმში ან თბილისში კერძო ბანკის გახსნის მიზნით, რაც მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა...

აკაკი ხოშტარია პირადად იცნობდა ილია ჭავჭავაძეს, რომელიც ხშირად სტუმრობდა აკაკის ოჯახს, ოჯახი კი აკაკის შესანიშნავი ჰქონდა, მისი მეუღლე იყო ფოთის სახელმწიფო ბანკის მმართველის, ცნობილი კომერსანტის ეგნატე თურქიას ასული–მინადორა“. ეგნატე თურქიას საკუთრება იყო შავიზღვისპირა ყველა საკონდიტრო ქარხანა და მაღაზია.

1914 წელს აკაკი ხოშტარიამ ქართველი ინტელიგენციის თხოვნით შეიძინა აწგარდაცვლილი მრეწველისა და საზოგადო მოღვაწის, დავით სარაჯიშვილის სახლი და ის შემდგომ სხვა საკუთარ ქონებასთან ერთად, ქართველ ხალხს დაუტოვა საჩუქრად. დ. სარაჯიშვილის სახლი შემდეგ გადასცა, საქართველოს მწერალთა კავშირს... ლადო გუდიაშვილისა და კუბისტის ანდრე ლოტის სურათები შეისყიდა და საჩუქრად გამოუგზავნა საქართველოს ხელოვნების მუზეუმს, მისი ხარჯით, უცხოური განათლება მიიღო უამრავმა ნიჭიერმა ქართველმა სტუდენტმა, ახალშექმნილ საქართველოს საინტერესო და საეთნოგრაფო საზოგადოებას ბაქოდან 8 (რვა) ათასი მანეთი გამოუგზავნა.

„აკაკი ხოშტარიას ავტორიტეტზე მეტყველებს, ქართული კოოპერაციული მოძრაობის ერთ-ერთი ორგანიზატორის, გულმხურვალე პატრიოტის, რევაზ გაბაშვილის მიერ დამოწმებული ცნობა, ხოშტარიას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრად დანიშვნის სურვილის შესახებ–პრემიერ-მინისტრად სპირიდონ კეიდია, საგარეო საქმეთა მინისტრად ევგენი გეგეჭკორი, ფინანსთა მინისტრად აკაკი ხოშტარია–„ეგებ მეგრელებმა უშველენო საქართველოს“ (ჟურნალი „ომეგა“ 2003 წლის ოქტომბერი).

ბოლშევიკებმა, იმის მაგიერ, რომ ირანიდან პურის შემოტანის სანაცვლოდ ფინანსური ანგარიშსწორება მოეხდინათ, აკაკი ხოშტარიას დაპატიმრება დაუპირეს. მას „კლასობრივი მტრის“ ხვედრი ელოდა, თვითონ ემიგრაციით უშველა თავს, მაგრამ დახვრიტეს აკაკის ძმის, გიორგის ვაჟები–აკაკი და მეთოდე, კონფისკაცია გაუკეთდა და ოჯახის დარჩენილ წევრთა თვალწინ გაიყიდა მათი მთელი ავლა-დიდება. აკაკის აყვანილი შვილი ჰყავდა–მუსენკა–აკაკი ხოშტარიას დარჩენილი მემკვიდრეთაგან, გვარის გამგრძელებელია მეთოდეს შვილი–გოგი ხოშტარია...

„აკაკი ხოშტარია საკუთარი ხარჯებით ინახავდა მთელს

5

საქართველოს რესპუბლიკას, თავის მთავრობიანად...“ (ისტორიკოსი ლალი მიქელაძე).

აკაკი ხოშტარიას მეუღლე 1924 წელს გარდაიცვალა, სრულიად ახალგაზრდა, დაკრძალულია დულაბის მართლმადიდებლურ სასაფლაოზე თეირანში, აკაკიმ საყვარელი მეუღლის საფლავზე აააგო სამლოცველო, რომელიც დღეს ქართული ხუროთმოძღვრების ერთადერთი ძეგლია, ირანის ისლამური რესპუბლიკის ტერიტორიაზე“...

„1932 წელს 59 წლის ასაკში აკაკი ხოშტარია პარიზის სასტუმროში გარდაიცვალა, სიკვდილის მიზეზი გახდა ღომის ქერქი, რომელმაც სადილობისას სასულე დაუკაწრა და დიაბეტიანი აკაკი, ექიმებმა ვერ გადაარჩინეს („საქართველოს რესპუბლიკა“ თ. ჩობანიძე) აკაკი ხოშტარია დაკრძალულია პარიზში პერ-ლაშეზის სასაფლაოზე.

აკაკი ხოშტარიას მოქმედების დევიზი წარმატებული კომერციული საქმიანობის მანძილზე, ერთი შეხედვით, ასეთ პარადოქსულ პრინციპად ჩამოყალიბდა: „არასოდეს არაფერი გამიტანია საქართველოდან, ყოველთვის შემომქონდა!“

„აკაკი ხოშტარიას დარ ადამიანს, რომლის სამეწარმეო და ფინანსური შესაძლებლობების გამოყენება, ქვეყნის სასიკეთოდ თავისუფლად შეიძლებოდა, ლავრენტი ბერიამ ხელაღებით „ავანტურისტ კაპიტალისტი“ უწოდა, ხოლო სერგო ორჯონიკიძემ, ბათუმში კერძო ბანკის გახსნასა და თურქეთიდან სავაჭრო საქონლის შემოტანასთან დაკავშირებით, ბუდუ მდივანი და მის უკან მდგარი აკაკი ხოშტარია „დატუქსა“, იმის გამო, რომ მათ არ ესმით პოლიტიკური საკითხი, მისი თქმით ამგვარი ბანკი ჩადგებოდა ინგლის-საფრანგეთის კაპიტალის სამსახურში და ხელს შეუწყობდა მათ დამკვიდრებას ამიერკავკასიაში“...

ბუდუ მდივანს (ცეკას მდივანს) პარტიულმა ამხანაგებმა „ერთგული სამსახურისთვის“ დახვრეტა მიუსაჯეს, განაჩენის აღსრულების წინ, ბუდუ მდივანმა აღიარა, რომ სწორედაც ღირსი იყო, „ამგვარი სასჯელის“ (ჟურნალი „ომეგა“ 2003 წ.).

ბებიაჩემი–ნიტრო ჩარგაზხე, როდესაც გაიგებდა ცნობილი და ღირსეული პიროვნების ნაადრევი და ტრაგიკული გარდაცვალების ამბავს, შეიცხადებდა:–„ეკონია, თეჯგუა ღურუს“–(ღმერთმა შეარცხვინოსო ასეთი სიკვდილი)!–აკაკი ხოშტარიას სიკვდილზე მართლაც რომ ითქმის:–„ეკონია“!!!

არადა, რამდენი შეუსრულებელი ჩანაფიქრი დარჩებოდა იმ ღვთისნიერ ადამიანს, რომ დაცლოდა, იქნებ სხვანაირად წარმართულიყო მისი და მისი სათაყვანებელი საქართველოს მომავალიც.

ღრმად განათლებულმა, ღვთისმოსავმა და სამშობლოზე უზომოდ შეყვარებულმა აკაკი ხოშტარიამ ძალიან ბევრზე კარგად უწყოდა ალბათ, ხალხური სიბრძნე:

„ჩვენ რას წავიღებთ, იმ ქვეყნად,
სხვას, რაღა წაუღია რა“!!?

**ედიშერ წურწუმია,**

*ხობი, 28 აგვისტო (მარიამობა), 2023 წელი*

***P.S. აკაკი ხოშტარიას დამთავრებული ჰქონდა ოდესის სასოფლო-სამეურნეო კოლეჯი და პეტერბურგის სასოფლო-სამეურნეო აკადემია.***

## სახელოვანი წინაპრები

# სამსონ თოფურიას მოღვაწეობრი სტეზა

ელგუჯა თავბერიძემ, არაერთი მხატვრულ-დოკუმენტური თხზულების ავტორმა, კიდევ ერთი ბიოგრაფიული რომანით გაახარა მკითხველი „ვით უდაბნოში გზადაბნეულებს“.

სამსონ თოფურიას ცხოვრების ქრონიკამ გამოცემისთანავე მიიპყრო ქართველთა ყურადღება. რომანის მთავარი პერსონაჟი, რასაკვირველია, ექიმი სამსონ თოფურია გახლავთ, რომლის ღვაწლი და დამსახურება საქართველოში, კერძოდ ქუთაისში, პროფესიონალური სამედიცინო დაწესებულების დაარსებასა და განვითარებაში განუზომელია, როგორც ბატონი ელგუჯა გვამცნობს, სამსონის მამა ბესარიონი სენაკის მაზრიდან ყოფილა და 1856 წელს ჩასულა ქუთაისში, სადაც პირველდაწყებითი განათლება მიიღო. კლასიკური გიმნაზია გაასრულა და სწავლა ჯერ ოდესის, მერე ხარკოვის უნივერსიტეტებში გააგრძელა. შემდეგ კი

ზე შემდგარი თოლორდავას გვარის კაცი „გაუცოცხლებია“: „გადაირივნენ ახლობლები, მკვდარი გაგვიცოცხლე, შენ გაიხარეო, შენმა გამზრდელმა იხაროსო, შენი ხელების ჭირიმეო, რით უნდა გცეთ პატივიო, თქვენს სახელზე ყოველ კვირას სანთელს დავანთებთო, ხეს დავრგავთ, შვილს მოგანათლინებ ვარგისისაო.

მაშინ გაიგო სამსონმა, ვარგისი რქმეოდა თოლორდავას გვარის ყმაწვილს. ეტყობოდათ, გაჭირვებულებს ძლივს გაჰქონდათ თავი, კოკოჩაშვილის აფთიაქიდან რამდენჯერმე წამლის ყიდვა ვერ შეძლეს და თვითონ სამსონმა იყიდა“.

ნამკურნალევ პაციენტებს სამსონის საპატივცემულოდ მის სახელს უმატებდნენ. ამიტომ გაჩენილა იმ ხანებში ივანე-სამსონი, პავლე-სამსონი, ანდრო-სამსონი და მისთანები.

მაგრამ თავი არ მემეტება და თქვენი უფრო მჯერა-თქო“

ეს ერთი ამბავი, ეხლა მეორეც გავიხსენოთ.

„გრიგოლ მხეიძე იმასაც

დასავლეთ ევროპა–გერმანია, იტალია, შვეიცარია მოიარა, იქაურ სამედიცინო მიღწევებს გაეცნო და განსწავლული, 33 წლის ექიმი სამშობლოში დაბრუნდა. არც ქუთაისში, არც ქუთაისის გუბერნიაში, ანუ დასავლეთ საქართველოში იმ დროს საავადმყოფო არ ყოფილა. მთელ ამიერკავკასიაში ერთადერთი, 1868 წელს, ქ. თბილისში დაარსებული წმინდა მიხეილის საავადმყოფო იყო.

ქუთაისში უნდა დავაარსოთ საავადმყოფო, დაიჟინა სამშობლოში დაბრუნებულმა სამსონ თოფურიამ...

ელგუჯა თავბერიძე აღნიშნავს: „ქილიკის საგნად იქცა მისი ეს განზრახვა, ვერც გაამტყუნებ სკეპტიკოსებს: ზღაპარს გავდა იმ დროს ასეთი მიზნის დასახვა, იმდენი რამე უშლიდა ხელს მის ხორცშესხმას–უფულობა, კადრების ნაკლებობა, ექიმბაშთა წინააღმდეგობა, შურიანობა“...

მწერალი დიდი ოსტატობით გვიხატავს ამ დიდ საქმის აღსრულების პერიპეტიებს და, უპირველეს ყოვლისა, ცხადია, სამსონ თოფურიას უტეხ ბუნებას, ჩინებულ ორგანიზატორულ და მენეჯერულ თვისებებს. ხასიათის სიჯიუტით, მომავლის წინდაწინ ხედვის გამორჩეული უნარით, ძველი და ახალი კავშირების მეშვეობით სამსონმა შეძლო იმპერიის სხვა ქალაქებიდან მოეწვია გამოჩენილი ექიმები, სპეციალისტები და თავის დაფუძნებულ საავადმყოფოში დაესაქმებინა. მწერალი განსაკუთრებულად ამახვილებს ყურადღებას სამსონ თოფურიას უანგარობაზე, სიკეთის მსახურებასა და ქველმოქმედებაზე. წიგნში მრავალი ფაქტია მოხმობილი მის სიქველეზე, იმაზე, თუ როგორ მკურნალობდა სამსონი გაჭირვებულებს უსასყიდლოდ, ისეთ შემთხვევებზეც მოგვითხრობს ავტორი, როცა ექიმი ეხმარებოდა პაციენტებს ფულით.

სიკვდილ-სიცოცხლის გზაგასაყარზე შემდგარი თოლორდავას გვარის კაცი „გაუცოცხლებია“: „გადაირივნენ ახლობლები, მკვდარი გაგვიცოცხლე, შენ გაიხარეო, შენმა გამზრდელმა იხაროსო, შენი ხელების ჭირიმეო, რით უნდა გცეთ პატივიო, თქვენს სახელზე ყოველ კვირას სანთელს დავანთებთო, ხეს დავრგავთ, შვილს მოგანათლინებ ვარგისისაო.

მაშინ გაიგო სამსონმა, ვარგისი რქმეოდა თოლორდავას გვარის ყმაწვილს. ეტყობოდათ, გაჭირვებულებს ძლივს გაჰქონდათ თავი, კოკოჩაშვილის აფთიაქიდან რამდენჯერმე წამლის ყიდვა ვერ შეძლეს და თვითონ სამსონმა იყიდა“.

ნამკურნალევ პაციენტებს სამსონის საპატივცემულოდ მის სახელს უმატებდნენ. ამიტომ გაჩენილა იმ ხანებში ივანე-სამსონი, პავლე-სამსონი, ანდრო-სამსონი და მისთანები.

სამსონ თოფურიას საავადმყოფო ქ. ქუთაისში 1890 წლის 1 მაისს გაიხსნა. საავადმყოფო ეპისკოპოსმა გაბრიელმა აკურთხა. „ამდენ ხალხს იშვიათად მოუყრია თავი“,–წერდნენ მაშინდელი გაზეთები. სამსონ თოფურია ღვთისგან იყო გამოგზავნილი დედამიწაზე, ვით მოსე, რომელმაც გზადაბნეული თვისტომნი სამშვიდობოს გამოიყვანა. სამსონმაც ბიბლური მოსახლესავით გოლიათური ძალა და ენერგია გამოიჩინა და თავისი ზნეობის წყალობით ქუთაისში ისეთი სამკურნალო დააფუძნა, რომლის ბადალი არ მოიძებნებოდა მაშინდელ კავკასიაშიო,–აღნიშნავს ავტორი.

„ელგუჯა თავბერიძეს საგულდაგულოდ აღუნუსხავს სამსონ თოფურიას ქველმოქმედებისა და მისი სამედიცინო თუ მენეჯერული საქმიანობის მრავალი ფაქტი, საზოგადოებრივი მოღვაწეობის დეტალები. ავტორი მეტად საინტერესო და მიმზიდველ თხრობას ხშირად დოკუმენტური მასალით ამყარებს. ყოელივე ამის შედეგად მკითხველის თვალწინ იკვეთება მონუმენტური ხატი დიდი პიროვნებისა, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება და სიცოცხლე მოყვასთა სამსხვერპლოზე უანგაროდ მიიტანა. ელგუჯა თავბერიძემ კი ჩვეული მწერლური ოსტატობით გამოკვეთა სამსონ თოფურიას ეს ღვაწლი“.

–წერს ლიტერატურათმცოდნე მანანა კვატაია.

წიგნში მრავალი ისტორიულ პირს შეხვდებით. განსაკუთრებული ადგილი აკაკის და სამსონ თოფურიას ურთიერთობას ეთმობა.

სამსონ თოფურიასა და დიმიტრი ნაზარიშვილის რჩევით პეტერბურგში სამკურნალოდ წასული აკაკი, გიორგი წერეთელს წერდა: „თოფურია და ნაზაროევი თუ ნახო, უთხარი, რომ ძალიან შემაშინეს აქაურმა ექიმებმა, მაგრამ თავი არ მემეტება და თქვენი უფრო მჯერა-თქო“

ეს ერთი ამბავი, ეხლა მეორეც გავიხსენოთ.

„გრიგოლ მხეიძე იმასაც გვეუბნება,–აკაკის ფილტვების ანთება ჰქონდა და ერთი თვე სამსონის საავადმყოფოში იწვაო“.

გულისხმიერი მკურნალი დღედაღამ თავზე ადგა თურმე მგოსანს, რის შედეგად აკაკი კარგად გამხდარა, მადლობასთან ერთად, რაც უთქვამს სამსონისთვის იმას, გრიგოლ მხეიძის სიტყვებით გავიხსენებთ:

–მართალია, თქვენ განმკურნეთ, მაგრამ ახლა ისეთი ავადმყოფობით ვარ შეპყრობილი, თქვენ ვერ მომარჩენთო.

სამსონი გაკვირვებული შეეკითხა:

–რა გაწუხებს ბატონო აკაკი?

აკაკიმ მიუგო:

–მე ის მაწუხებს, რომ ჩემი მამული ქუთაისის ბანკში მაქვს დაგირავებული 300 მანეთად. ახლა ვადა მიუდის და ქონებას გამიყიდიანო.

–არაფერია, მაგას ნუ სწუხართ, ყველაფერი გამოსწორდებაო,–უპასუხნია სამსონ თოფურიას.

გულისხმიერი მკურნალი წასულა ბანკში, გადაუხდია აკაკის ვალი, მიუტანია ვალის გადახდის საბუთი და თან უთქვამს ავადმყოფი მგოსნისთვის:

–ჩემო აკაკი, ამიერიდან ბანკის ვალიდან თავისუფალი ხარო.

აკაკის ძალზე გახარებია და განცვიფრებულს მიუმართავს სამსონ თოფურიასთვის.

–კაცო, უფასოდ მიმკურნალე, მომარჩინე და ვალებიც გადამიხადე, რით გადაგიხადო სამაგიერო?

ვის მონათხრობს იხსენებდა გრიგოლ მხეიძე, არ ვიცით. აკაკიზე დაწერილ მოგონებებში ეს ამბავი არსად შემხვედრია.

შეიძლება 1984 ან 1898 წლის ავადობის დროს მოხდა, ან სულაც სამსონის დიდსულოვნების გამოსახატავად.

**ბეჭან ნადარაია**

# ჩვენს მუნიციპალიტეტში



ხობის მუნიციპალიტეტის პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში „მაჩხომერის" არქიტექტურული კომპლექსის ტერიტორიაზე მკვლევართა ჯგუფი არქეოლოგის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, რევაზ პაპუაშვილის ხელმძღვანელობით არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებს.

მეცნიერებმა „მაჩხომერზე" მიმდინარე არქეოლოგიური სამუშაოების შესახებ ინფორმაცია ხობის მუნიციპალიტეტის მერს, დავით ბუკიას გააცნეს.

„მაჩხომერზე" არქეოლოგიური კვლევები ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის დაფინანსებით და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით მიმდინარეობს.

„მაჩხომერის" არქიტექტურული კომპლექსი ადრექრისტიანული პერიოდის ძეგლია, რომელიც IV-VI საუკუნეებით თარიღდება.

გურიფულის სტადიონზე, 2008 წელს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, სოფელ ხურჩაში დაღუპული ხობელი პოლიციელის, რამაზ კიტიას ხსოვნისადმი მიძღვნილი პირველობის ფინალური შეხვედრა გაიმართა ფეხბურთში.

მემორიალური ტურნირის გამარჯვებული და რამაზ კიტიას სახელობის თასის მფლობელი ხობის საგანმანათლებლო რესურსცენტრის გუნდი გახდა, მეორე ადგილი ხობის მუნიციპალიტეტის მერიამ დაიკავა, ხოლო მესამე ადგილზე "შავი ზღვის ტერმინალის" გუნდი გავიდა.

ტურნირს ხობის მუნიციპალიტეტის მერი დავით ბუკია, საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე, მერის პირველი მოადგილე რევაზ ზაქარაია, მერის მოადგილე დავით ბერაია და ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სპორტული პირველობა ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერითა და ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის" ორგანიზებით ჩატარდა.

ქარიატის ადმინისტრაციულ ერთეულში, აგვისტოს ომის დროს დაღუპული რეზერვისტის, ლევან ჭოჭუას სახელობის საფეხბურთო ტურნირის ფინალური მატჩები გაიმართა.

საფეხბურთო პირველობის გამარჯვებული და ლევან ჭოჭუას სახელობის თასის მფლობელი ყულევის გუნდი გახდა, ხოლო მეორე ადგილი ქარიატის „ქარიენტემ" დაიკავა.

ფინალურ შეხვედრას ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე დავით ბერაია და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სპორტული ღონისძიება ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერითა და ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის" ორგანიზებით ჩატარდა.

# ცოფისგან მხოლოდ აცრა დაგიცავთ!

ცოფი თბილსისხლიანი ცხოველების დაავადებაა, მას უმთავრესად მაწანწალა ძაღლები და კატები ავრცელებენ. გარეული ცხოველებიდან მელა, მგელი, ტურა, ღამურები, მღრღნელები, თუმცა ცოფით ასევე შეიძლება დაავადდეს ცხენი, კურდღელი, დათვი, ლომი, ღორი, მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი.

ადამიანს ან სხვა ცხოველს ცოფის ვირუსი დაავადებულთან უშუალო კონტაქტის–დაკბენის, დადორბლვის ან დაკაწვრის შედეგად გადაეცემა.

ცოფის თავიდან აცილების ერთადერთი გზა ვაქცინაციაა, მის განვითარებას სხვა ვერაფერი აჩერებს და არც განკურნების შანსი არსებობს.

***„ხობის მოამბეს" კითხვებს პასუხობს ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე, ექიმი პროფილაქტიკოსი ჯუმბერ ტურავა.***

***როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი, რომელიც ცხოველმა დაკბინა ან დაკაწრა?***

–ნაკბენი თუ ნაკაწრი საპნიანი წყლით უნდა დამუშავდეს და არა იოდით ან სპირტით. ის ფაქიზად უნდა ჩამოვიბანოთ საპნიანი წყლით, რომელსაც ცოფის ვირუსის განეიტრალება შეუძლია.

ნაკბენის, ნაკაწრისა თუ დადორბვლის ჩამობანის შემდეგ დაზარელებულმა სასწრაფოდ უნდა მიმართოს ანტირაბიულ კაბინეტს, რომელიც ფუნქციონირებს ქ. ხობში ევექსის ჰოსპიტალური ქსელის ხობის კლინიკაში და ასევე შ.პ.ს. „მკურნალში". სადაც მათ ქირურგი რაბიოლოგის მიერ დაენიშნება აცრების კურსი. ნაკბენის მკურნალობის დროს ცოფთან ერთად აუცილებელია ტეტანუსის პროფილაქტიკაც.

თანამედროვე მიდგომით მოქმედი ინსტრუქციის თანახმად, ვაქცინაცია აუცილებლად უნდა ჩატარდეს მიმართვის დღეს და შემდეგ მესამე, მეშვიდე, მეთოთხმეტე და ოცდამეერთე დღეს, ანუ სანამ 10 დღე გავა და ცხოველს შეეტყობა, ჯანმრთელია თუ არა, სამ აცრას ვასწრებთ, თუ ცხოველი დაკბენიდან 10 დღის მერე ჯანმრთელია, დანარჩენი აცრები აღარ ტარდება. 10 დღიანი დაკვირვების პერიოდი მხოლოდ ძაღლსა და კატაზე ვრცელდება. თუ ადამიანი კურდღელმა, ზაზუნამ, ღორმა, ცხენმა ან სხვა ცხოველმა დაკბინა ან დაკაწრა, აუცილებელია ვაქცინაციის კურსის ბოლომდე მიყვანა.

***ვართ თუ არა დაზღვეულნი აცრილ ცხოველებთან ურთიერთობისას?***

–სამწუხაროდ არა, იყო შემთხვევები, როცა ცოფი აცრილ ცხოველს დაემართა. ამიტომ ვაქცინაციის კურსი მაინც უნდა ჩავატაროთ, დაავადების ბუნებიდან გამომდინარე, ამ რეკომენდაციას ვეტერინარებიც კი არ ეწინააღმდეგებიან, როგორც იტყვიან, სიფრთხილეს თავი არ სტკივა.

***როგორია ტაქტიკა, როცა დაზარალებული ორსულია?***

–ცოფის ვაქცინაციის უკუჩვენება არ არსებობს, რადგან სასწორზე ადამიანის სიცოცხლე დევს, შესაბამისად არც ორსულობა მიიჩნევა დამაბრკოლებელ ფაქტორად.

ვაქცინაციამ შესაძლოა ადგილობრივი ან ზოგადი რეაქცია გამოიწვიოს, ადგილობრივი გამოიხატება უმნიშვნელო შეშუპებით, შეწითლებით, ქავილით, ზოგადი–სისუსტით, თავის ტკივილით, ტემპერატურის მომატებით, იშვიათად ნერვოლოგიური სიმპტომებითაც აღინიშნება, ამ შემთხვევაში საჭიროა სასწრაფო ჰოსპიტალიზაცია.

***როგორი რეჟიმი უნდა დავიცვათ აცრის შემდეგ?***

–ნაკბენის შესაფასებლად და სამკურნალოდ უნდა მივმართოთ ქირურგ რაბიოლოგს და არა ზოგად ქირურგს. აცრა არ უნდა გაკეთეს უზმოზე. აცრის შემდეგ მეტად მნიშვნელოვანია შრომის, დასვენების და ძილის სათანადო რეჟიმის დაცვა.

მკურნალობის პერიოდში არ შეიძლება გადაღლა, ჭარბი ფიზიკრი დატვირთვა, ინტენსიური ვარჯიში, შეჯიბრში მონაწილეობა, მძიმე ფიზიკური შრომა.

ცალკე საკითხია ალკოჰოლური სასმელების მიღება, რომელიც აკრძალულია და თუ რამდენი ხნით, ამას განსაზღვრავს ქირურგი რაბიოლოგი.

გარდა ამისა, ვაქცინაციის პერიოდში და მას შემდეგ არ შეიძლება ძლიერმოქმედი წამლების მიღება, გადახურება, გაციება, აუცილებელია კანის ჰიგიენის დაცვა და ჰიპოალერგიული დიეტა.

ვაქცინაციის პერიოდში და მისი დამთავრებიდან ერთი თვის განმავლობაში არ შეიძლება სხვა სახის აცრების ჩატარება, გარდა ტეტანუსისა.

თუ ადამიანი აცრის შემდეგ შეაწუხა თავის ან წელის ტკივილმა, კიდურების სისუსტემ, აუწია ტემპერატურამ, უნდა დავუკავშირდეთ მკურნალ ექიმს, ან სასწრაფოდ გადავიყვანოთ კლინიკაში.

ვაქცინაცია, რა თქმა უნდა, არ არის სასიამოვნო პროცესი, მაგრამ ერთადერთი გზაა ცოფის ვირუსით დასნებოვნებული ადამიანის გადასარჩენად.

## ხსოვნის საღამო

# „ჩვენი აწმყო და ჩვენი წარსული“

ხობის კულტურის სახლის დიდი დარბაზი...

ისმის ლირიული მუსიკა...

ფარდა ნელ-ნელა იხსნება. შემოდის თეთრებში შემოსილი ანგელოზი ანთებული სანთლით ხელში...

ხობელთა ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო (წამყვანი მსახიობი მარინა ჯღარკავა)...

მოწვეული სტუმრები...

წუთიერი დუმილი.

*„ვფურცლავ კალენდარს რბიან*
*დღეები,*
*ბაღში დამჭნარან ორჰიდეები,*
*სულზე ლოდებით*
*შემოსალტული*
*ჩვენი აწმყო და ჩვენი*
*წარსული“...*

„წარსული მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო–მომავლისა, ეს სხვადასხვა ხანა, სხვადასხვა ჟამი ერის ცხოვრებისა ისეა ერთმანეთზე გადაბმული, რომ ერთი უმეოროდ წარმოუდგენელი, გაუგებარი და გამოუცნობია, ამიტომაც არის ნათქვამია ერთის ბრძენისგან, რომ „აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მერმისისაო“ ეს სამთა ჟამთა ერთმანეთზედ დამოკიდებულება კანონია ისეთივე შეურყეველი და გარდაუვალი, როგორც ყოველივე ბუნებრივი კანონი“ (ერი და ისტორია, ილია ჭავჭავაძე).

* * *

*„დაიწყე? რახან დაიწყე,*
*ბოლომდე უნდა გახვიდე.*
*თოკი ცხრაჯერ რომ ჩაგიწყდეს,*
*მეათედ უნდა ახვიდე...*
*–ჩანაცრდი? უნდა აალდე,*
*არ იცნობ? უნდა გაიცნო,*
*ჭირია? უნდა გამაგრდე,*
*გტკივა და უნდა გაუძლო...*
*დაეცი? უნდა წამოდგე...*
*დამარცხდი? უნდა იბრძოლო...*
*გაჭირდა? უნდა გამოდგე*
*მოკვდე და მკვდარმაც*
*იცოცხლო!..“*

ღონისძიება, „ხსოვნა მარადი“, რომელიც საზოგადოება „ხობელის“ მიერ იყო ორგანიზებული, ყოველგვარი პათეტიკის გარეშე შეიძლება ითქვას, იყო გულწრფელი ურთიერთპატივისცემის, პატივმიგების საღამო. ძნელია, ღირსეულად და ობიექტურად შეაფასო, მაგრამ საზოგადოება „ხობელის“ ჩანაფიქრმა, სწორად გაკეთებულმა აქცენტებმა ადვილად იპოვა გზა ადამიანთა გულებისკენ და ყველაზე ფაქიზი სიმები შეარხია. თითოეული სახელოვანი ადამიანის ისტორიების მოსმენისას უნებურად ჩნდება სიამაყისა და მადლიერების განცდა.

* * *

„დღეს ჩვენ ვსაუბრობთ სიკვდილსა და სიცოცხლეზე, რამეთუ ისინი ერთმანეთის უიმისოდ არ არსებობენ, სამყაროში ისინი წარმოუდგენელია, როგორც ურთიერთდაპირისპირებული, მაგრამ ამავდროულად ერთმანეთის შემსები, ურთიერთსრულმყოფი მოვლენები. სიკვდილი დევნის სიცოცხლეს, მაგრამ ერთგვარად ესტეთიკურ ჭრილში აღამაზებს მას. განა გენიოსი ვაჟა თავის შემოქმედებაში ასე არ მიმართავს სიკვდილს:

*„ღმერთმა გიშველოს სიკვდილო,*
*სიცოცხლე ჰშვენობს შენითა...“*

* * *

დარბაზში მსხდომ საზოგადოებას საშუალება ჰქონდათ თვალი ედევნებინათ ფოტო-კოლაჟისთვის, რომელიც საგანგებოდ მოამზადა ხობის მემატიანე ირაკლი შონიამ. მან ერთად მოუყარა თავი ხობის მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა უმრავლესობის მნიშვნელოვან დეტალებს, მათ საგმირო საქმეებს, მრავალმხრივი სპექტრით დაანახა საზოგადოებას მათი თავდადება და დამოკიდებულება ქვეყნის, მათი საშვილიშვილო საქმეების შესახებ, იმ ემოციების, ურთიერთობების თაობაზე, რაც ქმნიდა რაიონის ცხოვრებას. ამ მემკვიდრეობას მხოლოდ და მხოლოდ ღირსეული მომავალი უნდა დააშენოს ახალმა თაობამ.

ხობის ღირსეულმა მოქალაქეებმა ბეჟან ნადარაიამ, კუკური ნაცვლიშვილმა, გოგიტა ჩიტაიამ, ქალბატონებმა ადა თათარიშვილმა, მანანა შამათავამ, ვაჟა ბუკიამ, არქიმანდრიტმა ისაკიმ (ღადუა), სამების ტაძრის წინამძღოლმა დეკანოზმა კირიონმა (დარასელია), ლევან ლემონჯავამ, რამაზ ლოლუამ და ამ სტრიქონების ავტორმა, ღირსეულად ისაუბრეს იმ ღვაწლმოსილი ადამიანების შესახებ, რომლებიც ასე ამშენებდა და ალამაზებდა ხობს.

ღონისძიებას ალამაზებდა კულტურის ცენტრთან არსებული ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ჯგუფები.

* * *

დრო სწრაფად გადის. იქმნება ისტორია, მიდის თაობათა ცვლა. წილად მხვდა ბედნიერება გავიხსენო და ვწერო იმ ღირსეულ ადამიანებზე, რომლებიც სიკვდილის შემდეგაც არ გვტოვებენ.

ეს ცოცხლებს გვჭირდება აწმყოდან წარსულსა და მომავალში გადასახედად. ვინ იცის იქნებ, ამ ღონისძიებას ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

* * *

ლოტბარ ნელი ბერაიას სიტყვები „მე თქვენ მამა გამიცოცხლეთ, (ლოტბარი ალიოშა ბერაია). ეს ღონისძიება გულისგულამდე მივიდა, თქვენს მიერ დასახელებული პიროვნებების ისტორია ჩემთვის ნაცნობია. მართალია დღეს ისინი ცოცხლები არ არიან, მაგრამ მათი უმრავლესობა ჩემი თანამედროვეები არიან, რომლებთან ნაცნობობა და მეგობრობა მაკავშირებდა, მიხარია, და კიდევ ერთხელ მადლობას გიხდით წარსულის გახსენებისთვის და იმ სიამოვნებისთვის, რომელიც ამ დღემ მომანიჭა.“

* * *

და ისევ გრძელდება დაუსრულებლად ისრებში მომწყვდეული დროის ჭიდილი, ისევ უსასრულოდ ფურცლავს მემატიანე ჟამთასვლას, ისევ გაივლის წლები... ისტორია კიდევ მრავალ წელს დაითვლის. მათი სახელები კი უკვდავებაში რჩება...

მეც ამ ქვეყნის შვილი ვარ და ვცდილობ სამარადჟამოდ ვყო იმ ადამიანების სახელები, ვინც ასე ალამაზებდა ჩვენს ყოფას, რაიონს, სოფელს და სრულიად საქართველოს.

თქვენ კი ჩემო ძვირფასო ადამიანებო, იცოცხლეთ მრავალჟამიერ!

*„რადგან სიცოცხლე ასე*
*ნავარდობს,*
*სიკვდილის ყველა კარი*
*დარაზეთ,*
*და იმ ბედნიერ დღეს გაუმარჯოს,*
*როცა ჩვენ გავჩნდით ამ*
*ქვეყანაზე!“*

**ნაირა ბერაია,**
**საზოგადოება „ხობელი“**

# „გრძნობას უბიწოს დრო ვერას უზამს“
## (ნარკვევი)

ღვარცოფად მოვარდნილ მდინარესავით ჰარი-ჰარალე წუთისოფელმა, მრავალ ნიჭიერ და განათლებულ ადამიანს ნაადრევად დაატოვებინა წუთისოფელი.

ვფურცლავ კალენდარს...

21-ე საუკუნე განსაკუთრებული აჩქარებით ხასიათდება, უკან მოხედვასც კი ვერ მოასწრებს ადამიანი, ისე სწრაფად გარბის დრო, თუმცა, „გრძნობას უბიწოს, დრო ვერას უზამს“.

მეხის გავარდნას გავდა მისი სიკვდილი.

ყველა ერთმანეთს უსამძიმრებდა.

ქართველები ემოციური ხალხი ვართ, თანაგრძნობის გამოხატვაც განსაკუთრებულად გვახასიათებს. არ ვიცი რატომ ეზიარა ასე ადრე მარადიულობას ეს რჩეული ახალგაზრდა კაცი, მაგრამ ვინ უწყის, ვინ შეიცნობს სად მთავრდება ბედნიერებმა და სად იწყება უბედურება...

მართლაც დაუნდოებლია წუთისოფლის მსჯავრი...

ვენია ცხადაია, სწავლული აგრონომი, სოფლის მეურნეობის ღირსეული მუშაკი, ნაღდი ხობელი, რომელიც მისხალ-მისხალ ქმნიდა თავის ლამაზ ბიოგრაფიას.

ძველი თაობის მოღვაწეთა შორის მის სახელს დიდი პატივი და მოკრძალება მოსავს, ის გამოირჩეოდა მაღლი ინტელექტით, გონებრივი შესაძლებლობებით, მაღალი სულიერებით, ზნეობრივი სიწმინდითა და სისპეტაკით. ვინც ერთხელ მაინც შეხვედრია ბატონ ვენიას, უთუოდ დაამახსოვრდებოდა მისი ჭკვიანური მსჯელობა, მომხიბლავი გარეგნობა და მოსიყვარულე გული.

წლები გავიდა, მაგრამ მისი ხსოვნა მარად გაუხუნარია. სადაც კი ამ კაცზე სიტყვა ჩამოვარდება, ყველგან ყოველთვის სინანულს გამოთქვამენ.

ნარკვევის წერისას გონებაში ამოტივტივდა ერთ-ერთი მისი მეგობრის სიტყვები: ვენია ცხადაიას სული მარადიულ სასუფეველშია და გვირგვინად ადგას ადამიანობის, პატიოსნების და მამულიშვილობის ნათელი შუქი, ბრწყინვალე მეოჯახე, მეზობელი, მეგობარი და უღალატო კაცი... მისი ხსოვნა მარად გაუხუნარია, მას დავიწყების მრუმე ფერებიც არ ეკარება. ჟამთადინებაც ვერას აკლებს.

მართალაც უსაზღვროდ უყვარდა ხობი და ხობელები. იშვიათად შეხვდებოდით ისეთ ადამიანს, რომელშიც ასე ჰარმონიულად იყო შერწყმული გარეგანი და შინაგანი ხიბლი, ეს ღვთაებრივი კაცი ყველას მეხსიერებაში კაცად დარჩა...

მეუღლე, ქალბატონი ინოლა, დიდება მის სულს, პროფესიით აგრონომი გახლდათ. სრულიად ახალგაზრდა ცალუღელად დარჩა. სიცოცხლის ხალისით სავსე, ოჯახის ერთგული ახალგაზრდა მეუღლე 46 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაეცვალა და დარჩა ერთადერთ ქალიშვილთან ერთად.

ვერ ვიტყვი არ გაჭირვებიაო, მაგრამ სულის სიმაღლე გამოიჩინა, მედგრად და ნათელი გონებით მიჰყვა ცხოვრების მდინარებას. ქალიშვილი ნატო ცხადაია ღირსეულ პიროვნებად აღზარდა, რომელიც პროფესიით გეოგრაფია და 40 წელზე მეტია ემსახურება მომავალი თაობების აღზრდას. დადის და ცხოვრობს საოცარი დედა და ბებია. სიკეთეს აფრქვევს, ჩუმი და მოკრძალებული ქალბატონი, რომელიც არსთა გამგებელმა პედაგოგად მოავლინა ცოდვილ მიწაზე და ისიც იღწვის, რათა ცოდვისგან დაცული იყოს მომავალი თაობა.

ბედნიერი ოჯახი ჰქონდა, მაგრამ მასაც ცხოვრებამ დიდი ნაღველი აგემა, ადრე დაქვრივდა, ხელიდან გამოეცალა ლომივით ვაჟკაცი, თავის კუთხეზე და მტერმოყვარეზე უსაზღვროდ შეყვარებული, ეროვნული სულისკვეთებით აღსავსე კაცი ვახტანგ ბერაია და დარჩა სამი პატარა ბავშვი, მაგრამ ჭირს არ გაუტყდა, ზიდა ეს ტვირთი ბოლომდე ერთგულად, პატიოსნად, როგორც ღირსეულ ოჯახს შეეფერება. მართალია ქალბატონი ნატო გულით დაატარებს ძვირფასი მეუღლის დაკარგვით გამოწვეულ სევდას, მაგრამ ცხოვრება გრძელდება და დღეს იგი თავისი საამაყო შვილებით და შვილიშვილებით ხარობს. უფროსი ვაჟი სულხანი–ეკონომისტია, უმცროსი გიორგი კი პროფესიით იურისტი ასოცირებული პროფესორია. ქალიშვილმა სოფიომ ბიოსამედიცინო დაამთავრა, რომელიც დაოჯახებულია და ჰყავს მეუღლე პროფესიით ეკონომისტი კობა კობახიძე და სამი კაშკაშა შვილი კესო, კატო და ანდრია. ნათქვამია, „კვიცი გვარზე ხტისო“–კესო, რომელიც მე-11 კლასელია მსახიობობაზე ოცნებობს და ასე ბედნიერად ცხოვრობენ ერთად კობახიძეების სანიმუშო ოჯახში.

კომკავშირი, ყამირი, პარტია–ეს ისტორიის კუთვნილებაა.

დაე, ბატონი ვენია ცხადაიას მიერ მომკილმა ავტორიტეტმა და სიყვარულმა გაუნათოს გზა მის დიდ და ლამაზ ოჯახს, რომლებსაც ცხოვრების ციცაბო ბილიკებზე თავაწეულად და ამაყად შეუძლიათ იარონ და თავი მოიწონონ, რამეთუ ღირსეულ ფესვებზე აღმოცენებული ღირსეული მშობლების ღირსეული შვილები და შვილიშვილები არიან.

...დღესაც ბერაიების ოჯახში პირვანდელივით ღვივის მათი მოგონება, კვლავ ძალუმად ისმის ხსოვნის საგალობელი. დაიშრიტა მათი სიცოცხლის წყარო სალი კლდის ნაჟური წმინდა და კამკამა, ხოლო მოგონებების სხივი პირველვარსკვლავივით ციალებს...

მართალია, ნაადრევად დასრულდა ბატონი ვენიას სიცოცხლე, მაგრამ დარჩა სახელი „აქაც კარგი კაცი იყავ, იქ ნათელი დაგადგესა“.

**ნაირა ბერაია**

## ჩვენს მუნიციპალიტეტში

ხობის მუნიციპალიტეტში „ევროპის სპორტის კვირეულის“ ფარგლებში შეჯიბრებები გაიმართა მაგიდის ჩოგბურთში, ნარდში, ჭადრაკში, ბაგირის გადაწევასა და ქართულ ჭიდაობაში.

კვირეულის დასკვნით ღონისძიებას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე, ხობის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე რევაზ ზაქარაია და მერის მოადგილე დავით ბერაია ესწრებოდნენ.

ნარდის შეჯიბრებაში გამარჯვებულ კობა ბოძაძეს პრიზი ნანა ბვასალიამ გადასცა

კვირეულის ფარგლებში გამართული პირველობების გამარჯვებულ და პრიზიორ მონაწილეებს თასები, მედლები და სიგელები გადაეცათ.

„ევროპის სპორტის კვირეული“ იმართება ყველასთვის, განურჩევლად ასაკისა, სპორტული გამოცდილებისა, თუ ფიზიკური მომზადების დონისა.

კამპანია მოუწოდებს მოსახლეობას იცხოვრონ ცხოვრების ჯანსაღი წესით. „ევროპის სპორტის კვირეული“ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით და „ხობის მუნიციპალიტეტის სპორტის ცენტრის“ ორგანიზებით ჩატარდა.

ჭადრაკის ტურნირში გამარჯვებულები

დასრულდა „ევროპის სპორტის კვირეულის“ დღეების ფარგლებში გამართული აკაკი ზარანდიას სახელობის ტურნირი ჭადრაკში. გამოვლინდნენ ტურნირის პრიზიორები და გამარჯვებულები, რომლებიც დაჯილდოვდნენ სიგელებით, მედლებით და თასებით.

**ლია ტურნირი–ბიჭები**

1. სანდრო დოლბაია
2. გიორგი იოსავა
3. ანდრია ქანდარია

**ლია ტურნირი–გოგონები**

1. ნინი დოლბაია
2. მარიამ ლაგვილავა
3. ქეთი ნადარაია

**10 წ-მდე ბიჭები**

1. ანდრია ზარანდია
2. ლუკა სანაია
3. ანდრია ღვინჯილია

**10 წ.-მდე გოგონები**

1. ლილუ ალანია
2. თეკლა პაპავა
3. ტაისია პაპავა

## გვწერენ!

### ჩემს მასწავლებლებს!

მოგიცანთ იის ცისფერალა ყონეს,
რომ იდგეს ახლა ყვირცების ჟაში.
იას მოპყვება ხურნელი სიყრმის
და დაგაინყებთ ყველაფერს ნაძით.
მოგიცანთ იის ნამცეცა ღიმილს–
მონაფერობის ყაყისფერ ყაბით
და მზეში ნაბან ცყემლის ყვავილებს.
აფეთქებულებს მოვარიან ღაძით.
მოგიცანთ იის ცისფერალა ყონეს
რომ იდგეს ახლა ყვირცობის ჟაში...

ლია ერქვანია

### სამადლობელი

დიდი პატივისცემით მინდა ახალი სასწავლო წლის დაწყება და მასწავლებლის დღე მივულოცო ჩვენი ქვეყნის პედაგოგებს, მოსწავლეებს, მშობლებს...

განსაკუთრებით მოვეფერები ჩემი შვილების მშობლიურ, ნოჯიხევის №2 საჯარო სკოლის ყველა მასწავლებელს. წლების წინათ ჩემი შვილები ამ სკოლის პედაგოგებს მივანდე აღსაზრდელად, მათი უდიდესი შრომის, პროფესიონალიზმის შედეგია, მოსწავლეთა კარგ ადამიანებად ჩამოყალიბება.

ჩემი ქალიშვილი ნინი კილასონია წელს სტუდენტი გახდა, მისი ოცნების ასრულებაში უდიდესი წვლილი მიუძღვით უშუალოდ მის პედაგოგებს: ეკა ლიპარტიას, ლელა ნანეიშვილს, იზოლდა (ციური) ცხადაიას, ლიკა კაპანაძეს, ეკა ფირცხელავას...

ძვირფასო ქალბატონებო, გულითად მადლობას გიხდით იმ დიდი ღვაწლისთვის, რაც ჩემი შვილის სწავლა-განათლებაში ჩადეთ, პროფესიონალიზმისთვის, მოთმინებისთვის, დათმობისთვის, რასაც მომავალი თაობის სწორ გზაზე დაყენებისთვის ეწევით.

ჯანის სიმრთელეს, ლამაზ, ბედნიერ დღეთა სიუხვეს და წარმატებულ მოსწავლეთა სიმრავლეს გისურვებთ.

*უდიდესი პატივისცემით*
*ნანა ბუკია.*

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო
გამომცემელი: ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი.
სარედაქციო კოლეგია: მერი ლაგვილავა, ნანი კილასონია, კობა კობახიძე, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია, ნაირა ბერაია, ჯულიეტა ლატარია (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში.
ტელ: 599-50-40-57; 577 60-22-21.
ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.
დაიბეჭდა შპს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.